ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №
(სახელმწიფო შესყიდვების შესახებ)
(საქონლის შესყიდვა)

გორი 10 ნოემბერი 2014წ

ერთის მხრივ, **სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში**, სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი **ზურაბ რუსიშვილის** სახით (შემდგომში "შემსყიდველი"), და მეორეს მხრივ, *შ.პ.ს „ბაგნუმი"* ს/კ (202253480) მისი დირექტორი ზურაბ ბიჭოლაშვილის სახით, (შემდგომში "მიმწოდებელი") ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 "მიმწოდებელი" ვალდებულია "შემსყიდველს" მიაწოდოს :

სანათი ELSOLRECBP (CPV 3150) 3 ცალი, თითოეულის ღირებულება 80.00 ლარი, **სულ ღირებულება 240.00** (ორას ორმოცი) ლარი.
ნავი PB-285 (CPV 3452) 1 ცალი, ღირებულება 790.00 (შვიდას ოთხმოცდაათი) ლარი.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შემსყიდველი ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **1030.00 (ათას ოცდაათი) ლარს.**
2.2 ანგარიშსწორება წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების წესით, შესაბამისი სასაქონლო ზედნადების და მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან თხუთმეტ საბანკო დღეში.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1. "მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონლის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს "შემსყიდველის" მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების , ვადები, ადგილი და პირობები

4.1. შესყიდვის საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 7(შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში.
4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია გორი, სტალინის გამზ # 16.
4.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, "მიმწოდებელი" ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა "შემსყიდველისთვის", კერძოდ, სასაქონლო ზედნადების წარდგენა.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დასტურდება "შემსყიდველისა" და "მიმწოდებლის" მიერ, საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის , ადმინიატრაციის აპარატის უფროსი სპეციალისტის **გიორგი იაკობაშვილის** ხელმოწერით.

6. ანგარიშსწორების ფორმა

6.1. "მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.
6.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულება ანაზღაურდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.3. ანგარიშსწორება "შემსყიდველის" მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.1. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ, არა უმეტეს 15 (თხუთმეტი) საბანკო დღის ვადაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1. "შემსყიდველს" უფლება აქვს:
- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2. "შემსყიდველი" ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება "მიმწოდებელთან" ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

7.3. "მიმწოდებელს" უფლება აქვს:

- მოსთხოვოს "შემსყიდველს" შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლიბის შესაბამისად.

8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ, ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე, შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

8.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2014 წლის 31 დეკემბრამდე.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

12.1. "შემსყიდველი" უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და "შემსყიდველის" მოთხოვნებთან.

12.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას "შემსყიდველის" მხრიდან განახორციელებს **გიორგი იაკობაშვილი** – გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის აპარატის უფროსი სპეციალისიტი;

12.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან ან ხელეხალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება "მიმწოდებელს" საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. სხვა პირობები

13.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13.2. არცერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
13.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
13.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
13.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

“შემსყიდველი”

გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია
ქ. გორი, სტალინის გამზ. 16
საქართველოს სახელმწიფო ხაზინა
ანგ. №200122900, კოდი №220101107
საიდენტიფ. კოდი №217889514
სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი

_________________ ზურაბ ჩუხრუკიძე

“მიმწოდებელი”

შპს „მაგნუმი“
თბილისი, თამარ მეფის გამზ ქ #19

ს/ს “თიბისი ბანკი”
ანგ. GE31TB7915536020100001
ბანკის კოდი TBCBGE22
საიდენტიფ. კოდი 202253480

შპს ,,მაგნუმი“ -ს დირექტორი

_________________ ზურაბ ბიჭოლაშვილი